



კურიკულუმი

დამატებითი (minor) პროგრამა პროგრამის დასახელება	აგროლოგისტიკური სისტემები
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/ კვალიფიკაცია	
ფაკულტეტის დასახელება	აგრარული
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები/ კოორდინატორი	აგროინჟინერიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი: მავრა თევზაძე-ხუსკვიცაძე ☎ - 595 50 83 29 E-mail mavra.tevzadze@atsu.edu.ge
პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა (სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)	პროგრამის ხანგრძლივობა არის 3 წელი, 6 სემესტრი. ESTS კრედიტის რაოდენობა 60 თითოეულ სემესტრში 10 კრედიტი. ერთი კრედიტის მოცულობა არის 25 საათი, სულ- 1500 საათი
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის შემუშავებისა და განახლების თარიღები;	16.09.2011 - აკრედიტაცია. 2020 წელი.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მოთხოვნები)	
დამატებითი (minor) პროგრამაზე „აგროლოგისტიკური სისტემები“ სწავლა შეუძლიათ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე კურსის სტუდენტებს, თავისუფალი არჩევანის საფუძველზე.	
პროგრამის მიზნები	
სტუდენტს მისცეს საბაზისო ცოდნა ინტეგრირებული ლოგისტიკური სისტემების ფუნქციონირების თავისებურებებისა და ლოგისტიკური ამოცანების გადაწყვეტის მეთოდოლოგიური საფუძვლების შესახებ. გამოუმუშაოს პრაქტიკული უნარები სამომხმარებლო ბაზარზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიწოდების ლოგისტიკურ ჯაჭვში მატერიალური, ინფორმაციული და ფინანსური ნაკადების დაგეგმვისა და ეფექტიანად მართვის მეთოდებისა და ხერხების შესახებ. დამატებითი (minor) საბაკალავრო პროგრამით „აგროლოგისტიკური სისტემები“ გათვალისწინებული სასწავლო კურსების ათვისების შემდეგ სტუდენტს საშუალება ეძლევა: ძირითად სპეციალობაში წარმატებით გამოიყენოს ლოგისტიკის თეორია და პრაქტიკა, ასევე გაიფართოვოს დასაქმების შესაძლებლობები და არეალი.	
სწავლის შედეგები (ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები)	
ცოდნა და გაცნობიერება	1. აღწერს თანამედროვე ლოგისტიკის მიდგომებსა და პრინციპებს. განსაზღვრავს ლოგისტიკური სისტემის ძირითადი რგოლების (ქვესისტემების) ფუნქციებსა და ამოცანებს, მათი გადაწყვეტისათვის მეთოდოლოგიური აპარატის გამოყენების თავისებურებებს.

	<p>2.ხსნის ლოგისტიკური სისტემების სტრუქტურის აგების მეთოდებს, განსაზღვრავს ლოგისტიკური პროცესის ორგანიზების მოდელების შერჩევის ხერხებს;</p> <p>3.აღწერს ინტეგრირებულ აგროლოგისტიკურ სისტემაში მატერიალური, ინფორმაციული და ფინანსური ნაკადების მართვის მეთოდებსა და ხერხებს;</p> <p>4. განსაზღვრავს სამომხმარებლო ბაზარზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიწოდების ჯაჭვში ლოგისტიკური ოპერაციების დაგეგმვის მეთოდებს, აღწერს ლოგისტიკური ოპერაციების კონტროლის მექანიზმებსა და რისკების შეფასების ხერხებს;</p> <p>5.აღწერს ლოგისტიკური სერვისზე გაწეული დანახარჯების გაანგარიშებისა და ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასების მეთოდები.</p>
<p>უნარი</p>	<p>6.ადგენს მიკრო, მაკრო და მეზო ლოგისტიკური სისტემების სტრუქტურას. ანალიზებს სისტემის ძირითადი რგოლების ურთიერთკოორდინირებული ფუნქციონირების უზრუნველყოფის პირობებს;</p> <p>7.მონაწილეობს სამომხმარებლო ბაზარზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიწოდების ჯაჭვში: შესყიდვების, განაწილების, ტრანსპორტირების, დასაწყობებისა და მარაგებით უზრუნველყოფის ლოგისტიკური ოპერაციების დაგეგმვაში და მათ წარმართვაში;</p> <p>8.მონაწილეობს საწარმოო პროცესების ლოგისტიკური ორგანიზებისა და წარმოების მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის პროგრამის შედგენაში;</p> <p>9.ახდენს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიწოდების ჯაჭვში მატერიალური, შრომითი და ფინანსური დანახარჯების აღრიცხვას, აფასებს გაწეული ლოგისტიკური მომსახურების ეკონომიკურ ეფექტიანობას;</p> <p>10.ლოგისტიკური ოპერაციების ორგანიზების, კონტროლისა და მართვის ეტაპებზე ახდენს საჭირო ინფორმაციების მოძიებას და მათი ანალიზის საფუძველზე ახორციელებს მართვით ღონისძიებებს.</p>
<p>პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა</p>	
<p>სწავლა-სწავლების მეთოდები</p>	
<p>სწავლის ფორმები - ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა, ლაბორატორიული მეცადინეობა, კონსულტაცია, დამოუკიდებელი მუშაობა.</p>	
<p>სწავლის მეთოდები - დისკუსია/დებატების, დემონსტრირების, ვერბალურ-ზეპირსიტყვიერი, წერითი მუშაობის, პრაქტიკული და ლაბორატორიული მეთოდები.</p>	
<p>პროგრამის სტრუქტურა</p>	
<p>პროგრამის ხანგრძლივობა არის 3 წელი, 6 სემესტრი. ESTSკრედიტის რაოდენობა 60, თითოეულ სემესტრში 10 კრედიტი. ერთი კრედიტის მოცულობა არის 25 ასტრონომიული საათი, სულ- 1500 საათი სასწავლო გეგმა იხილეთ დანართის სახით. დანართი 1.</p>	
<p>სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები/</p>	
<p>აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული შეფასების სისტემა იყოფა შემდეგ კომპონენტებად: საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) შუალედური შეფასების ხვედრითი წილი შეადგენს ჯამურად 60 ქულას, რომელიც თავის მხრივ მოიცავს შემდეგი შეფასების ფორმებს: სტუდენტის აქტივობა სასწავლო სემესტრის განმავლობაში - არა უმეტეს 30 ქულა;</p>	

შუალედური გამოცდა- არა ნაკლებ 30 ქულა;

დასკვნითი გამოცდა - 40 ქულა.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელს შუალედური შეფასებების კომპონენტებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ჯამურად შეადგენს **არანაკლებ 18 ქულას.**

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან **არანაკლებ 5 დღეში**

დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის მიერ მიღებული შეფასების მინიმალური ზღვარი განისაზღვრება **15 ქულით** სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსებში.

დასაქმების სფეროები

სტუდენტის დასაქმების ობიექტებია: სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების, გადამამუშავებისა და შენახვის, გადაზიდვისა და ექსპედიციების კომპანიები. სავაჭრო და პროდუქციის დისტრიბუციის ფირმები. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიმღები და განმანაწილებელი ცენტრები. საზღვაო, საავიაციო და საბაჟო ტერმინალები. სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და სასურსათო პროდუქციის სასაწყობო მეურნეობები, აგრეთვე ისეთი ორგანიზაციები და გაერთიანებები, რომელთაც ჭირდებათ აგროლოგისტიკის სფეროში სათანადო ცოდნისა და პროფესიული უნარების მქონე სპეციალისტი.

სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები

1. აუცილებელი ადამიანური რესურსი: ბაკალავრის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია მაღალკვალიფიციური პედაგოგიური კადრებით, სასწავლო დისციპლინებს უძღვებიან შესაბამისი პროფილის აკადემიური ხარისხის მქონე 5 სპეციალისტი: 1-ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, 4 ასოცირებული პროფესორი.

(აკადემიური პერსონალის CV-ები პროგრამას თან ერთვის. პროგრამის განმახორციელებელი აუცილებელი ადამიანური რესურსი იხილეთ დანართი 5 სახით).

2. სასწავლო პროცესის სასწავლო-მეთოდური უზრუნველყოფა: საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყოველი სასწავლო კურსის სწავლების პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი სასწავლო-მეთოდური დოკუმენტაციით: სასწავლო კურსების სილაბუსებით, სალექციო კურსებით, ძირითადი

სახელმძღვანელოებით და დამხმარე საინფორმაციო წყაროებით, სასწავლო-მეთოდური რეკომენდაციებით, სწავლების მულტიმედიური ტექნოლოგიებით და აუდიო/ვიდეო მასალებით.

3. აუცილებელი მატერიული რესურსი: პროგრამის განხორციელებას ემსახურება უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა, რომელიც იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას, ესენია: სასწავლო მასალით უზრუნველყოფილი სალექციო აუდიტორიები და ლაბორატორიები, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკა; უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის კომპიუტერული ცენტრები, აგრარული ფაკულტეტის აგროინჟინერიის დეპარტამენტის კაბინეტ-ლაბორატორიები.

აკადემიური პერსონალი

	ადამიანური რესურსი	აკადემიური ხარისხი	დაკავებული თანამდებობა	სასწავლო გეგმით გათვალისწინებული განსახორციელებელი კურსები
1	ზაზა ჩხარტიშვილი	აგროინჟინერიის აკადემიური დოქტორი	ასოცირებული პროფესორი	ლოგისტიკის საფუძვლები. ტვირთმცოდნეობა და ტვირთების მომზადება გადაზიდვისთვის. საწარმოო ლოგისტიკა. შესყიდვებისა და განაწილების ლოგისტიკა. აგროლოგისტიკური ცენტრების ორგანიზაცია და მართვა
2	მავრა თევზაძე-ხუსკივაძე	აგროინჟინერიის აკადემიური დოქტორი	ასოცირებული პროფესორი	დატვირთვა-განტვირთვის სამუშაოების ტექნოლოგია და ორგანიზაცია. სატვირთო გადაზიდვების ექსპედირება. შესყიდვებისა და განაწილების ლოგისტიკა. აგროლოგისტიკური ცენტრების ორგანიზაცია და მართვა
3	დავით კბილაშვილი	აგროინჟინერიის აკადემიური დოქტორი	ასოცირებული პროფესორი	სასოფლო-სამეურნეო ტვირთების გადაზიდვები. დასაწყობების ლოგისტიკა და მარაგების მართვა. ინფორმაციული ლოგისტიკა. ლოგისტიკის ეკონომიკური საფუძვლები.
4	ქეთევან კინწურაშვილი	ტექნოლოგიების მეცნიერებათა დოქტორი	პროფესორი	სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის შენახვა და გადამუშავება.
5	გოგიშვილი ნანა	ტექნოლოგიების აკადემიური დოქტორი	ასოცირებული პროფესორი	სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის შენახვა და გადამუშავება.



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სასწავლო გეგმა 2020 წელი
Minor საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: აგროლოგისტიკური სისტემები

№	კურსის დასახელება	პრ	დატვირთვის მოცულობა, სთ-ში				ლ/პ/ლ/პ/ჯგ	სემესტრი								დამგების წინაპირობა
			სულ	საკონტაქტო		დამოუკიდებელი მუშაობა		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
				აუდიტორული	შუალედ. დასკვნითი გამოცდები											
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17
I	დამატებითი (minor) სპეციალობა 60კრედიტი															
1	ლოგისტიკის საფუძვლები	5	125	45	3	77	15/30/0/0			5						
2	სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის შენახვა-გადამუშავება	5	125	45	3	77	15/0/30/0			5						
3	ტვირთმცოდნეობა და ტვირთების მომზადება გადაზიდვებისთვის	5	125	45	3	77	15/30/0/0				5					
4	დატვირთვა-განტვირთვის სამუშაოების ტექნოლოგია და ორგანიზაცია	5	125	45	3	77	15/30/0/0				5					
5	სასოფლო-სამეურნეო ტვირთების გადაზიდვები	5	125	45	3	77	15/30/0/0					5				
6	ტვირთების გადაზიდვების ექსპედიცია	5	125	45	3	77	15/30/0/0					5				

